ცნობის ფურცელი

№ 2278 ორშაბათი 29 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2278

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობისა
იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (0—108)

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ორშაბათს, 29 სექტემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

I

პაიაცები
ოპერა 2 მოქმედებად, მუსიკა ლეონ კოვალლოსი,

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა; ბ-ნნი: სელიავინი, ამირჯან, ევლარიშვილი, გრინევი, **გავრილოვი.**

II

კოპელია
ბალეტი. დაიდგმება 1 და 2 მოქმედება.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ი. პოზენი.

ანონსი: 30 სექტ. **„დემონი“** რუბინშტეინისა. (ნ.)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მალალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ახალი ამბავი

◆ **ქალაქის მიწის ზოგიერთ მოიჯარადრეს ნაძალადევში** უთხოვნია გამგეობისთვის, ნება მოგვეცით, გამოვისყიდოთ ქალაქის მიწები, რადგან საიჯარო გადასახადი დიდია და ჩვენთვის ხელსაყრელი არ არისო.

◆ ორი დღის წინად უკვე ვწერდით, რომ ბ-ნმა ბერიძემ, რომელსაც **ცხენის რკინის გზა გაჰყავს ვერაზე,** საგუბერნიო მთავრობას წარუდგინა პირობებიო. როგორ ამ პირობებიდანა სჩანს, ბ-ნი ბერიძე პირველ ხანს ერთ ლიანდაგს გაიყვანს 900 საჟენის მანძილზე და ივლის ოთხი ვაგონი, შემდეგ მოთხოვნილებისამებრ ვაგონების რიცხვი გამრავლდება. ფასი ერთი შაური იქმნება. მგზავრს შეეძლება ერთ ფუთამდე ბარგი წაიღოს ხელით. წყნეთის სოფლის მოხელეებს უსასყიდლოთ შეეძლებათ მგზავრობა, ხოლო სოფლელთ შეღავათი მიეცემათ. კონცესიის ვადა 30 ან 50 წელიწადი იქმნება. ამ ვადის შემდეგ მთელი გზა, ვაგონებით და ცხენებით წყნეთის სოფლის საზოგადოებას გადაეცემა.

◆ გუშინ-წინ ვწერდით, რომ **კახეთის რკინის გზის საზოგადოებას** მთავრობამ გადაუდო ვადა გზის მუშაობის დაწყებისა და დამთავრებისა. ეხლა, როგორც „კურ.“ გადმოგვცემს, საზოგადოება მუშაობას პირველ აპრილამდე უნდა შეუდგეს და დაამთავროს 1906 წლის პირველ იანვრამდე. ძირის თანხად საზოგადოებას ექნება 2,400,000 მანეთი. გზა უნდა დაიწყონ ზემო ავჭალიდან და გაიყვანონ სოფელ საქობომდე.

◆ დღეისთვის დანიშნულია სხდომა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ ამორჩეულ იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა **მევენახე-მეღვინეობის** კომიტეტის მიერ შემუშავებულ მოხსენებებისა. კომისია ამ საღამოს შეუდგება მოხსენებათა განხილვას არსებითად.

◆ ტფილისის **ქალაქის საბჭოს** დღევანდელ კრებაზე განსახილველად დანიშნულია 16-მდე საქმე.

◆ **საჩხერე.** დარკვეთიდან საჩხერემდე რკინის გზის ვიწრო ლიანდაგის გაკეთება უკვე დასრულდა და მატარებელთა მიმოსვლა დაიწყეს. ამ ჟამად **საჩხერის ხიდთან,** ვაკეზე, შესდგომიან სადგურის გამართვას. ჩარჩ-ვაჭრებს ეხლავე სუნი მიედინათ ფულისა და შეუდგნენ სადგურის ახლო-მახლო კერძო მემამულეთაგან ადგილების შესყიდვას, რომ მერე ერთი ათად გაჰყიდონ.

◆ ჰფიქრობენ, **ტფილისსა და ბაქოს შუა** ტელეფონი გაჰმართონ. როგორც „კავკ.“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, მუშაობას 1904 წლიდან შეუდგებიან.

◆ ყაზახის მაზრის უფროსს, როგორც „კავკ.“-ს ატყობინებენ, სიღნაღის მაზრაში შეუპყრია **ყაჩაღი ალი-მაჰმედი.**

◆ 24 სექტემბერს საგუბერნიო ექიმი ქიქოძე და იმისი თანაშემწე მაჰავარიანი სართიჭალის საბოქაულოში იყვნენ იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც **რუსები უნდა დაასახლონ.** ექიმებს ეს ადგილი საუკეთესოდ უცვნიათ რუსებისთვის.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია ტფილისში **ცეცხლის მქრობელთა ორი** რაზმი მოაწყოს. ერთი მტკვრის მარჯვენა მხარეს უნდა იმყოფებოდეს, მეორე—მარცხენა.

◆ როგორც „ტიფ. ლისტ.“-ს გაუგია, ტფილისის საბებიო ინსტიტუტში არსდება **თავად-აზნაურთა ორი სტიპენდია,** ერთი ტფილისისა, ხოლო მეორე ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ქალებისათვის.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ საბოლოოდ გადასწყვიტა გაიყვანოს ტფილისის სააბრეშუმო სადგურისა და საბალოსნო სკოლის შუა **მუშტაიდის ქუჩა.**

თეატრი

ოპერა. მიუხედავათ იმისა, რომ შაბათობით ფასები მომატებულია, მეიერბერის ოპერამ „გუგენოტებმა“ 27 სექტემბერს მრავალი ხალხი მიიზიდა. ეს აიხსნება იმით, რომ თვითონ ეს მუსიკა ტფილისის საზოგადოებას უყვარს. გარდა ამისა ყველას აინტერესებდა ბ. ფიგნერი რაულის პარტიაში. მონაწილეობას იღებდნენ დასის საუკეთესო მომღერალნი. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოდ ამ საღამომ. კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ისეთ დახელოვნებულ მომღერალს და არტისტს, როგორიც ფიგნერია, შეუძლიან ასეთის მოხერხებით გამოიყენოს თავისი „შეტოკებული“ ხმა. ფიგნერი სწორედ გმირი იყო ამ საღამოს და მრავალი ტაში დაიმსახურა. შუა და დაბალ რეგისტრებში სჭექს მისი ხმა. თამაშობით ხომ შეუდარებელია. რამდენი სიცოცხლე, ტემპერამენტი, აზრი, ჭკუა და გრძნობაა იმის თამაშობაში! საუკეთესო იყო მეორე და მეოთხე მოქმედებაში და მეორე შუა კვარტეტში (ფიცის მიღება). საპასუხო, მარგარიტა ვალუას პარტიას ასრულებდა ქალბ. კარტავინისა. რა-კი ამაზე უკეთესი კოლორატურული სოპრანო არა ჰყავთ დასში, რასაკვირველია, ქ. კარტავინას უნდა ემღერა. ამისათვის მშვენიერი არია მეორე მოქმედებისა („სამშობლო მხარეს“), რომელიც თხოულობს კარგად განვითარებულ კოლორატურულ სოპრანოს,—უღიმღამოდ იმღერა და მაღალ რეგისტრში უღალატა კიდეც მეიერბერს. სამაგიეროდ ბ. სანგურსკი გრაფი დე-სენ-ბრის პარტიაში ძალიან კარგი იყო, თუ ნაკლად არ ჩავსთვლით მეოთხე მოქმედებაში ერთ ადგილას ხმის სისუსტეს. ბ. სანგურსკის რიხიანი და სასიამოვნო ხმა მეორე მოქმედების კვარტეტში და უკანასკნელ მოქმედებაში უფრო ძლიერი და კარგი იყო. სანგურსკის მდიდარი მიმიკა აქვს და დახელოვნებული არტისტიც არის. ამ ოპერაში კიდევ სამ მომქმედ პირსა აქვს შესანიშნავი პარტია: მარსელს, რაულის მხლებელს, ვალენტინას და ცოტა ოდნად (პირველ-მოქმედებაში) ურბანს, პაჟს. მირსელის პარტია ფეოდოროვმა იმღერა და საზოგადოდ კარგი იყო. ჩვენის აზრით ცოტა რიხი და კამბედაობა აკლდა პირველ მოქმედებაში, როდესაც საომარ სიმღერას მღეროდა, და მესამეში, როდესაც სენ-ბრის ღალატი გამოაშკარავა.

ვალენტინას პრტიის ამსრულებელი ქალბ. გალცინა სუსტი იყო. ურბანის პარტიის ამსრულებელი ქალბ. როზნატოვსკისა ხომ სიმღერითაც და გარეგნობითაც უადგილო იყო. მეტი ტლანქია ამ პარტიისათვის. ამასაც აკლდა კოლორატურა და კეკლუცობაც პირველ მოქმედებაში. საზოგადოდ ოპერა კარგად დადგეს. მესამე მოქმედებაში, როდესაც დაღამდა, ეფექტიურად აინთო სახლებში სინათლე. ეს ახალი შემოღებაა და, რასაკვირველია, ღამის ნამდვილს სურათს წარმოადგენს.

განჯა. 26 სექტემბერს რკინის გზის თეატრში წარმოდგენა გაიმართა. დასდგეს ქართულად „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ და რუსულად „შეშლილის წერილები“. წარმოდგენამ განჯის საზოგადოება ბლომად მიიზიდა. რკინის გზის თეატრის ვეებერთელა დარბაზი მთლად გაჭედილი იყო. მონაწილეობას იღებდნენ, სხვათა შორის, ტფილისიდან ჩამოსულნი ქ-ნი გაბუნია-ცაგარელი, ბ-ნნი სვიმონიძე და გოცირიძე. დიდის აღტაცებით მიეგება საზოგადოება ქ-ნ გაბუნია-ცაგარელს. საერთოდ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა. როგორც ეტყობოდა, მეორედაც რომ გამართულიყო წარმოდგენა, მაგალითად, მეორე ან მესამე დღეს, მაინც კიდევ დაესწრებოდა.

განჯელი

დაბა-სოფლები

სოფ. ვაჩნაძიანი (კახეთი). ვაჩნაძიანში 240-ზედ მეტი მცხოვრებია. 20 კომლამდის თავადია. აქაურ გლეხების მეტი ნაწილი საბატონო არიან. ესენი, როგორც სხვანი, მიათრევენ მძიმე უღელს ტანჯვითა და ვაებით. ჩაჭიდებიან ერთთავათ შავს მიწას, მაგრამ ხელში კი არა რჩებათ-რა, რადგან ბევრი მტერი უყურებს ახლო და შორიდან. ეს მეორე წელიწადია, აქ სასოფლო სამკურნალო არსებობს, მაგრამ დიდს გაჭირვებაში-კია ჩავარდნილი. უფულობის გამო, ხან წამალი აკლდებათ და ხან—რა. ამ საავადმყოფოს შვიდი სოფელი ინახავს.

ამ ცოტა ხანში აქ მოხდა ორი უბედური შემთხვევა. ერთი მეწისქვილე წისქვილის ბორბალმა შეიტაცა, დაჩეჩქვა და მაშინვე სულიც გააფრთხობინა. მეორე კიდევ: ამ თვის 18-ში ერთს აქაურს მცხოვრებს ცოლთან ჩხუბი მოსვლია. ხანჯალი ამოუღია ცოლის მოსაკლავად და თავისი და-კი მოუკლავს. ეხლა ამბობს, მთვრალი ვიყავიო.

ქუდრ-ბაცაცები აქამდის თითო ცხენს იპარავდნენ, ეხლა-კი ჯგუფ-ჯგუფად მიერეკებიან. სოფ. შაშიანში 20 სექტემბერს მოიპარეს ოთხი ცხენი ერთად, რომელთა კვალიც ჯერ არსადა სჩანს.

ა. ფ.

წერილი რედაქციის მიმართ

თუმცა შესაფერი სიტყვები ვერ მიპოვნია, მაგრამ ნება მიბოძეთ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ქართველ საზოგადოებას, რომელმაც არ დაიშურა თავისი წვლილი და შეძლება მომცა სენისაგან გავკურნებულიყავ... სულით და გულით მოხარული ვარ ჩვენის ერის, ჩვენის საზოგადოების დაწინაურებისა, ვინაიდან თავისს მოღვაწე შვილთა დახმარება მისს განვითარებას, მის თვით-ცნობიერებასა ჰნიშნავს.

ქართველ საზოგადოებისადმი მადლობით აღსავსე გულით, არ შემიძლიან განსაკუთრე-

ბულის მადლობით არ მოვიხსენო ის ქართულნი დაწესებულებანი და კერძო კაცნი, რომლებიც შემამავალნი იყვნენ ჩემსა და ჩვენის საზოგადოების შორის, რომლებიც ქართველ საზოგადოებისაგან გულსავსებით გამოღებულ წვლილს აგროვებდნენ სამზღვარგარედ ჩემდა გადმოსაცემად. ვმადლობ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, ვმადლობ მ. ი. დემურიას, ვმადლობ ი. ი. პურადაშვილს, ვმადლობ მიხეილ ჯანოევს, ჩემს დიდ მოამაგეს და ყველა იმათ, ვინც-კი ჩემთვის ზრუნავდა და არ მივიწყებდა. სენისაგან განკურნებულს ღმერთმა შემაძლებინოს საყვარლის ქართველ საზოგადოებისა, ქართულის თეატრისა და ხელოვნებისადმი მეტი სამსახური, მეტი ერთგულება.

ქართველი არტისტი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

P. S. სხვა გაზეთებსაც ვთხოვ ეს ჩემი წერილი გადაბეჭდონ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 სექტემბერი

მოსკოვი. ტრეხგორნში ლუდის ქარხნის ოთხ სართულიან შენობის ჩარდახი დაიწვა. ზარალი ჯერ არ უანგარიშნიათ.

კინეშმა. საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ გზის ბეგარა გაუქმდეს, საერობო ტელეფონი გაიმართოს, ვოლგაზე წყალქვეშ მავთული გაიბას, საცდელად ერთ-ერთ პირველ-დაწყებით სახალხო სასწავლებელში: სახალხო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთათვის, დამატებითი კურსები გაიმართოს.

ვენევი. საერობო კრებამ დაადგინა, მარიამ იგნატიევისაგან სამკურნალოს გასამართავად შეწირული 30 ათასი მანეთი და ადგილი შენობებით მივიღოთ და სამკურნალოს სახელად „იგნატიევის სამკურნალო“ დავარქვათო.

ბახმუტი. საერო კრებამ გამგეობის მოხსენება უარ-ჰყო. გამგეობა თხოულობდა, სასანიტარო ექიმებს უფლება მიეცეთ, როცა მაღაროებსა და ქარხნებს ათვალიერებენ, გამოიკვლიონ, მადნის მუშებს საკმაოდ და რიგზე აწვდიან ექიმები შემწეობას, თუ არა.

ბელოზერსკი. საერობო წარმომადგენელთა საარჩევნო წესის შეცვლის თაობაზე, საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ: 1) რომ ისევ წინანდებური წესი შემოიღონ და არჩევის დროს წოდებად განაწილება გააუქმონ, ამომრჩეველთა ყოველ ჯგუფს იმდენის ხმოსნის არჩევის უფლება მიეცეს, რამდენიც ცენზის მქონე ამომრჩეველი ეყოლებათ; 2) სოფლის საზოგადოებათ უფლება მიეცეთ, ხმოსნები პირდაპირ აირჩიონ; 3) ქალებს უფლება მიეცეთ, მესაკუთრეგლეხთა არჩევანში პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ; 4) საადგილ-მამულო ცენზი 100 დესეტინამდე შემცირდეს, ქონების ცენზი კიდე 2,500 მანათამდე; 6) ყოველ სამ წელიწადში ერთხელ განისაზღვროს, თუ ამომრჩეველთა ჯგუფებს რამდენ-რამდენი ცენზის მქონი ხალხი ჰყავთ.

ყაზანი. სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა, საგუბერნიო ერობას ვსთხოვოთ, რომ მომავალ საერთაშორისო გამოფენაზე სან-ლუიში სასოფლო-სამეურნეო და შინა მრეწველობის განყოფილება გამართოს.

ბუგულმა. საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ სიმბირსკ-ბუგულმის რკინის გზა გაიყვანონ. ყოველ 20 ვერსტის მანძილზე ექიმები დანიშნეს. სკოლებში ხელობის სწავლება შემოიღეს. არსდება ლომბარი.

სიზრანი. საერობო კრებამ დაადგინა, საარჩევნო ცენზის ნორმა შეიცვალოსო. საარჩევნო კრებებში მონაწილეობის უფლება იმათ მიეცეთ, ვისაც 100 დესეტინა ექნებათ, იმათთვის, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, ცენზი სანახევროთ შეუმცირდეთ, ვისაც საშუალო განათლება მიუღია,—ერთის მეოთხედით; გლეხებმა საზოგადოებაში თითო ხმოსანი აირჩიონ. გადასწყვიტეს მაზრაში ტელეფონი გავიყვანოთო.

ტიხვინი. საერობო კრება შუამდგომლობს, კანონ-პროექტი წვრილ კრედიტის შესახებ საერობო კრებებს გადაეცეს განსახილველადაო.

კაზანი. სპასკის საერობო კრებამ დაადგინა, მაზრაში ნორმალური სკოლები გაეხსნათო; გლეხთა განთავისუფლების სახსოვრად დაბალი სასოფლო-სამეურნეო სკოლა გაიხსნასო; ვიშუამდგომლოთ, რომ ცხენებისა და საქონლის საურთიერთო დაზღვევა დაწესდესო.

სტამბოლი. სწორე არაა ის ცნობა, ვითომ რუსეთისა და ავსტრიის ელჩებს ინსტრუქციები მიეღოთ, თუ ნამდვილი კანტროლი როგორ დააწესონ და რეფორმების შემოღებას როგორ უგდონ ყური.

ბრიუსელი. ოფიციალური გაზეთები იუწყებიან დღეს, რომ ბიტოლიის ვილაეტი საცოდავ მდგომარეობაშიაო. რამდენიმე რაზმი სალონიკის ვილაეტისაკენ გაემართა; რაზმებს ცონჩევის რაზმებთან შეერთება და საზამთროდ ბოლგარიაში დაბინავება სწადიათ. აჯანყებულთა უმთავრესი რაზმები უკიდურეს ბრძოლისათვის ემზადებიან. ხილმი-ფაშამ სხვა-და-სხვა ეროვნების წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია გაჰგზავნა იმ აზრით, რომ დამწვარ სოფლების მცხოვრებლებს შემწეობა მოურიგონ. ფრანგი მონაზონი ქალები მაკედონიაში დაიარებიან და ხალხს ტანთ-საცმელსა, საბნებსა და ფქვილს ურიგებენ. საფრანგეთის ელჩმა პირველმა გამოჰგზავნა შემწეობა და კიდევაც გამოჰგზავნის. რუსეთის საკონსულო 50 ათას ფრანკს ელის. რუმინიის კონსულმა კრუშევოში 20 ათასი ფრანკი დაარიგა.

პარიზი. ინგლის-საფრანგეთის სამედიატორო ხელშეკრულობის პროექტი ჯერ არ დასრულებულა. ხელშეკრულობა შეეხება იმ უთანხმოებას, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს მომავალში მოუხდებათ.

პარიზი. გაზეთები აცხადებენ, მაროკოს სულთანი წესიერად ექცევა საფრანგეთსაო.

კონსტანტინეპოლი. სელამლიკის შემდეგ სულთანმა რუსეთისა და ინგლისის ელჩები და ნაჩვენები მიიღო.

შანხაი. ამერიკა-ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულობას ხელი მოაწერეს 25 სექტემბერს, იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულობას-კი ხელს მოაწერენ 27 სექტემბერს. პირველ ხელ-შეკრულობით უცხოელებს ნება ეძლევათ მუკდენში ივაჭრონ და აგრეთვე ეთმობათ ადგილები უცხოელთა დასასახლებლად.

სოფია. ოსმალეთის ჯარი კიუსტენდილის ახლოს ბოლგარიის საზღვარს გადავიდა, ბოლგარიის სადარაჯო რაზმს დაეცა და სოფელი დაიჭირა. ბოლგარიის ორი პოლკი მოვიდა და ოსმალები ისევ განდევნა. შეტაკების დროს ოსმალებმა დაჰკარგეს 4 კაცი. ბოლგარიის მთავრობის წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ამბავი შემთხვევით მოხდა და არავითარი შედეგი არ მოჰყვებაო.—სლავიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ იმ ადგილებში, სადაც ემიგრანტები ცხოვრობენ, 90,000 ფრანკი გაჰგზავნა.

28 სექტემბერი

კამიშლოვი. საერობო კრებას აზრადა აქვს მომავალ წელში გაავრცელოს ხალხში გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები და მანქანები, საუკეთესო ჯიშების თესლეულობა, აგრეთვე უჩვენოს მაგალითი მცენარეულობის თესვისა.

უსმანი. საერობო კრების გახსნის დღეს საერობო სატუსაღო და დაბალი სახელოსნო სკოლა აკურთხეს.

ხვოლინსკი. კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ ერობა გაანთავისუფლონ საპოლიციო დარაჯთა სამგზავრო ხარჯისაგან და ეს ხარჯები ხაზინამ იკისროსო.

კამიშლოვი. საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ ქალაქში ვაჟების ოთხკლასიანი პროგიმნაზია გაგვიხსნანო.

ხარკოვი. საერობო კრებამ დაადგინა, მოაწყოს შინა მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა საკომისიო წესით გაყიდვა; დააარსოს აგრეთვე ქვსი საჩვენებელი მინდვრები მაზრაში; მოაწყოს შინაურ ცხოველთა აუქციონი და ხორბლის გაგზავნის საქმე როგორც სამხედრო უწყებისათვის, ისე კერძო პირთათვის.

პორტ-არტური. „ნოვი კრაი“ უარ-ჰყოფს იმ ხმას, ვითომ იაპონიას გადაჰყავდეს ჯარი კორეაში.

პარიზი. საერთაშორისო სანიტარული კონფერენცია გაიხსნა.

სოფია. საფუძველს მოკლებულია ის ხმები, ვითომ ოსმალეთის მოსაზღვრე ადგილები ალყა შემორტყმულიაო.

მიუნხენი. ავტომობილი, რომელშიაც იჯდა მარია მერსედესი, და ესპანიის მეფისა, და კალაბრიის ჰერცოგი, დაეტაკა ავეჯით დატვირთულს ურემს. ავტომობილიდან გადმოვარდნილი ქალი სასახლეში წაიყვანეს. ექიმების შემოწმებით ცოტათი ტვინი აქვს შერყეული. ჰერცოგი კალაბრიისა-კი უვნებლად გადარჩა.

ბელგრადი. საპელაციო სამხედრო სასამართლომ მოუმატა სასჯელი ცამეტ თვემდის 4 ოფიცერს და სამსახურიდან დაითხოვა. ველიჩკოვიჩი და ლეონტიევიჩი გაამართლეს.

ვენა. ბელგიის მეფეს მოელიან 4 ოქტომბერს.

ბრიუსელი. ბელგიის მეფე ვენაში მოგზაურობის შემდეგ გაემგზავრება პარიზში, სადაც შეხვდება იტალიის მეფეს. მეფე ლეოპოლდს, ვენაში ყოფნის დროს, თათბირი ექნება ინგლისელების მიერ კონგოს სახელმწიფოზე დაცემის შესახებ, მაგრამ აზრათ მაინც არ აქვს იმპერატორი ფრანც-იოსები მოიწვიოს სამედიატორო სასამართლოში.

ადენი. გიჟი მოლა თავისი ჯარით ობიადან 6 მილის მანძილზე დგას. ცნობები იმის ყაჩადურ მოქმედების შესახებ მტკიცდება. იტალიის სამი გემი მოვიდა აქ და ობიოს მიდის.

ეკატერინბურგი. 25 სექტემბერს ეკატერინბურგთან მატარებლის დამსხვრევის დროს, ერთს ვაგონში ყოფილა ბერი სერაფიმეს ხატით, მგზავრები ამ ვაგონში უვნებლად გადარჩენილან. მგზავრების თხოვნით გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი იმ ადგილას, სადაც მატარებელი დაიმსხვრა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა. 19 სექტემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,50	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,45	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,50	
ბირჟის დისკონტი	5-6 1/2%	
4% სახელმწიფო რენტა	99 /2	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4 1/ % შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95 1/8	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	445	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	336 1/2	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	286 /4	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4 1/2% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	192 1/2	„

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3 სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2 სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2 სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 3). წ. სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 3 წ. (2 ს. 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.; 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ.) (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში -12 მან. ცალკე ოთახში 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 3 ოქტომბერს 1903 წელს, გამგეობისავე თანადარწრებით, მოხდება **საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც გაიცემა ბორანი მტკვარზე, მუხრანის ქუჩასა და რიყეს შუა. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, პირობანი შეუძლიან გასინჯოს გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დან 2 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე. ვაჭრობაში მონაწილეთ უნდა შეიტანონ ბე 1500 მან.

(2—6.—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბახნასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო.	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ლვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ეგევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ 28 Сентября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).